ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2264462

ნომერი: AR1350521

თარიღი : 20.10.2015

გაცემის თარიღი : 27.10.2015

გაცნობის თარიღი : 29.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ახალი ხეივნის ქუჩა N12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა მელაძე პ/ნ 01015009866
- თბილისი ნ.სულხანიშვილის I ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი AR1350521 განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ წერილში დასმული საკითხები საჯარო ინფორმაციის გაცემის ნომენკლატურას არ განეკუთვნება. ინფორმაციის მისაღებად სამსახურის ვებ გვერდზე (tas.ge) ელექტრონული განცხადებებში უნდა აირჩიოთ სამართლებრივი სახითხების ჯგუფი და დაარეგისტრიროთ განაცხადი სამართლებრივ განმარტებაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ.
#7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.
ამასთან გაცნობებთ, რომ სამსახურის 2015 წლის 14 სეტემბრის #2185510 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, ახალი ხეივნის ქუჩა N12, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.18.05.008.194), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტი სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის,
ან სამსახურის პასუხის ძიებაში #AR1311374; განაცხადის ნომრის მითითების შემთხვევაში. სამსახურის მიერ 2012-2015 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის
საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.
სამსახურის მიერ 2015 წლის 14 სექტემბრის (№2185510 გადაწყვეტილება) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი,
შეგიძლიათ გაასაჩივროთ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან საქმისწაროებას
აწარმოებს ელექტრონული სახით. სამსახურის 2012-2014 წლების ინფორმაცია გამოტანილია ვებ–გვერდზე (tas.ge) და არის საჯარო, დაინტერესებაში არსებული ობიექტის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.